წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სხდომის ოქმი №3

ქ.წალენჯიხა 2018 წლის 31 იანვარი

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე დარეჯან დადიანი

საკრებულოს 30 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 25 დეპუტატი: მაია მიქავა, თენგიზ ფიფია, სოლომონ სარია,დალი კვარაცხელია, ცოტნე მესხია,დავით ბელქანია, მანანა ჭანია, ვალერიანე კვარაცხელია, გოჩა ლიპარტია, ანზორ ძაძამია, ზურაბ სამუშია, იაგო მიქავა, დავით ფიფია, ვლადიმერ კვარაცხელია, ბაკურ სონგულია, ლევან შელია, დათა კუკავა, თეა ხასაია, ბაჩუკი უბილავა, ნონა მიქავა, ავთანდილ გაბელია, ელგუჯა მესხია, დათა აკობია, ირაკლი ხარჩილავა.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერი ბესიკ ფარცვანია, მერის მოადგილეები: გიორგი ლუკავა, სევერიანე შეროზია, საკრებულოსა და მერიის თანამშრომლები.

სხდომა დაიწყო: 12:00 სთ.
სხდომა დასრულდა: 12: 35 სთ.

სხდომის თავმჯდომარემ დარეჯან დადიანმა სხდომა გახსნილად გამოაცხადა და საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი.

საკრებულოს წევრებს წარმოდგენილი საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტის მიმართ შენიშვნა ან დამატება არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ დარეჯან დადიანმა მიზანშეწონილად ჩათვალა წარმოდგენილი სახით საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე (მომხრე 25 დეპუტატი; წინააღმდეგი- არცერთი) მიღებულიქნა

შესაბამისი განკარგულება (განკარგულება N 1).

დღის წესრიგი:

1. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზოგიერთ სამართლებრივ აქტში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: **თენგიზ ფიფია**- საკრებულოს სამანდატო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

2. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის N57 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: **მანანა ჭანია** საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

3.სხვადასხვა

ა) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის მეოთხე კვარტალის შესრულების მიმოხილვა ნაზარდი ჯამით

მერის მიერ მომხსენებლად დანიშნული პირი: თეა სარია-მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო- საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

მოისმინეს: 1. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზოგიერთ სამართლებრივ აქტში ცვლილების შეტანის თაობაზე.

საკითხი წარმოადგინა საკრებულოს სამანდატო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე თენგიზ ფიფიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ ქ–ნ დარეჯან დადიანმა მიზანშეწონილად ჩათვალა წარმოდგენილ დადგენილების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 25 დეპუტატი, წინააღმდეგი -არცერთი) მიღებულიქნა შესაბამისი დადგენილება (N 5)

მოისმინეს: 2. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის N57 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

საკითხი წარმოადგინა საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე მანანა ჭანიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ ქ–ნ დარეჯან დადიანმა მიზანშეწონილად ჩათვალა წარმოდგენილ დადგენილების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 25 დეპუტატი, წინააღმდეგი -არცერთი) მიღებულიქნა შესაბამისი დადგენილება (N 6)

მოისმინეს: 3.სხვადასხვა

ა) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის მეოთხე კვარტალის შესრულების მიმოხილვა ნაზარდი ჯამით

საკითხი წარმოადგინა მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა თეა სარიამ.

საკრებულოს მიერ 2017 წლის ბიუჯეტის მეოთხე კვარტალის შესრულების მიმოხილვა ნაზარდი ჯამით მიღებულიქნა ცნობად.

სხდომის თავმჯდომარემ ქ.ნ დარეჯან დადიანმა საკრებულოს წევრებს მიაწოდა ინფორმაცია მეოთხე მოწვევის საკრებულოსთან გენდერულ თანასწორობის საბჭოს შექმნის თაობაზე.

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დასრულდა.

სხდომის თავმჯდომარე დარეჯან დადიანი